

რედაქცია: ს. კოლოკოვიძის ქუჩაზე, მ. შადინოვის საღებავი, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის მიერ მისთვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაუჩად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსხვავდება: დროსა-ერთი ასოზე—1 კაპი, დროსა-მთელი წელი სტრიქონზე—8 კაპი, ნეკრესტის ციფერითი—5 კაპი, პატარაითი—4 კაპი.

რედაქციას უზღუდა აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბუდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეძღელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 31 იანვარს. დღეს პარლამენტის განხილვის დროს, იპვერატორ-მილჰელმმა სთქვა, რომ მკროპა იძულებულია მიიღოს შესაფერი ზომები, რომ რუსეთში გაჩენილი ქაჩი სხვა ქვეყნებშიაც არ გავრცელდეს. მაგრამ, რადგან რუსეთის მთავრობა ენერგიულად მოეკიდა ამ საქმეს, იმედი უნდა ვქონიოთ, რომ ეს ქაჩი რუეთიდან სხვაგან ვერსად გადავაო.

პარიჟი, 31 იანვარს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრევიმ მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლის ძალითაც დანიშნულია 18 ახალი გენერალური პროკურორი; გამოცვლილა აგრეთვე 12 კოპოუსის უფროსები.

ატლანტიკის ნავთობსადენი პრეზიდენტის დეკრეტით აღადგინდა.

მინისტრმა მარსერმა შეიტანა კრებაში დასამტკიცებლად კანონის პროექტი იმის თაობაზე, რომ ყველა 1871 წლის კომუნარებს ევატოოს დანაშაული.

კატერბურლი, 31 იანვარს. ატრანხის გუბერნიიდან კარგი ამბები მოდის ქაჩის თაობაზე.

კატერბურლი, 2 თებერვალს. შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ლორის-მელიქოვის დეპუტატი მიუთხდა, რომ ქამენნი-იარში ორი კაცი მოკვდა ქაჩითაო; დანარჩენ ალაგებში კი ქაჩით არცინ აღარ არის აეთათო.

ვერსალი, 1 თებერვალს. პოლმანი სენატის დეკრეტს დენტად ამოიჩინეს. ნაციონალური კრებამ ამოიჩინა კამიია რომელმაც უნდა განიხილოს სამინისტროს წინადადება კომუნარების პატიების (ამნისტიის) თაობაზე. ამ კომისიაში მომეტებული ნაწილი ისეთი პირები არიან, რომელთაც ჰაუროს სრულიად განთავისუფლება ხსენებულ დამნაშავეთა.

ლონდონი, 2 თებერვალს. ბიკონს-ჰილმა სთქვა ლორდების პალატაში, რომ სამწუხარო არისო ჩვენი ჯარის დამარცხება პაპის ქვეყანაში: მთავრობა ეცდებო, რომ მალე დაიმორჩილოს მტერიო. ბერლინის ტრაქტატი დაუბრკოლებრივ სრულდებაო; რუების ჯარი უკვე გადიან ოსმალეთიდან ის მიზან-

ნი, რომელსაც მისდევდა ინგლისი როდესაც ავღანთან ომი დაიწყო, ახლა უკვე შესრულებული არისო.

პარიჟი, 2 თებერვალს. საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით, იმ ხომალდებისათვის, რომელნიც შავი და აზოკის ზღვიდან მოადგებიან საფრანგეთს, ორი დღის კარანტინია დანიშნული.

კატერბურლი, 4 თებერვალს. „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უკლებლი მანიჭეტა, რომელშიაც ხელმწიფე იპვერატორი უცხადებს თავის ქვეშევრდობით ოსმალეთთან საბოლოო მორიგების შეკვრას.

გრადი ლორის-მელიქოვი იწერება ტარიცინიდან, რომ ქამენნი იარში რომ ორი კაცი მოკვდა, ქამისაგან არ მომკვდარანო.

კატერბურლის ბირჟა, 2 თებერვალს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კპ.
პრევილი გამოცემის —	94—87
მეორე — — — — —	94—75
მესამე — — — — —	94—87
მეოთხე — — — — —	94—87
აღმოსავლეთის პირ. —	92—50
აღმოსავლეთის მეორე —	92—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—58
თვილ. თავად-აზნ. ბანკის	
გირაოს ფურცელი —	— „ —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. ტპ.
პრევილი სესხის —	232—85
მეორე სესხის —	233—25
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი —	23 — „ პენსი
ამსტერდამი —	116—25 ცენტრი
ბერლინი —	195—25 ჰენიგი
პარიჟი —	242—25 სანტიმი
პავესაის კერასინი —	— „ —

სამართლებლო

დღიური
* მასულ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, ქავესაის საექიმო საზოგადოებაში ერთს ექიმს, სხვათა შორის, ჩამოუვდია ლაპარაკი იმაზე, რომ საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება ქაჩის გავრცელებასა და უნდა ურჩიოს ხალხს—თუ როგორ მოიქცეს ის ანუ როგორ იცხოვროს, რომ ამ საშიხელი ჭარისაგან თავი დაიხსნასო.
შესანიშნავია ამ საგნის შესახებ ჩვენი

მეცნიერი საზოგადოების გადაწყვეტილება: საზოგადოებამ მოისმინა თავს მჯღომარისა და დოქტორის შ.ხ.პრონიანცის ჰაზრი, რომ ქამისათვის ცალკე კამისია არის დანიშნული და ჩვენ ამ შემთხვევაში ვერაფრის გარიგება ვერ შეგვიძლიანო!

დამისთანა გარდაწყვეტილება დასდეს ჩვენმა საექიმო საზოგადოებამ მაშინ, როდესაც პეტერბურლის, მოსკოვის, ვენის, ბერლინის და სხვა ქაჩის ქალაქების საზოგადოებანი და მთავრობანიც კი ცდილობენ აიცილონ თავიდან ეს ჭირი, გაიციონ იმის თვისებანი და სხე. იქ თუ კი ზრუნავენ იმაზე, ცხრა მთას გადალმა, ჩვენ არ შეგვეფრის?!

* ბათუმიდან გვწერენ, რომ ერთს იქ ურმაზრას, ქანტრ მისას, რომელიც ამ ომიანობის დროს ძალიან დაზარებული იყო, ურიცდება მთავრობისაგან საჩუქრად 4,000 ფუთი ქერი და სესხათ ახალი მოსავლის მოსვლამდინ და მომკამდინ 14,000 ფუთი სიმინდი და ამას გარდა მეურნეობის გასამართავად 30,000 მანეთი.

მა, რასაკვირველია, კარგი შემწეობაა; მაგრამ იმისთანავე გაჭირებულ მდგომარეობაში, როგორც ქანტრის მ.ზრა, არის აგრეთვე მთელი აჭარა, შაბუღეთის მ.ზრა, ბათუქას ახლო-მახლო სოფლები და სხე. და, როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, ამათთვისაც ძალიან საჭიროა მალე შემწეობის მიცემა და გადასახადის შეჩერება რამდენიმე წლით მაინც.

* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ პარასკევს, 9 თებერვალს, ნემეცების ძაღვის ხალხში, ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება მოლლიერის კომედია „ძალათ ექიმი“ და თ. რაფ. შრისთვისაგან გადმოკეთებული ვოდვეილი „ქვიანობა“. ანტრაქტებში დაუკრავს ჩების მუზიკა და წარმოდგენის შემდეგ იქნება თამაშობა.

* მრთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ პეტერბურლის სამეცნიერო აკადემიას გადაუწყვეტია ერთი მეცნიერის ბუნების გამოძეძიებელს გაზაზვნა ახლად-დაპყრობილ ბათუმის მაზრაში იმ განზრახვით, რომ გამოიკვლიოს ეს მხარე მეცნიარეობისა და ცხოველების მხრით.

* ორმა აქ ურ რუსულ გაზეთების რედაქციებმა „მთილისის მოაპბისა“ და „მანზრისაში“ გარდაწყვეტეს, რომ შეაჩერონ ამ გაზეთების გამოცემა, სანამ

არ მოსპობა მსხვერპლი იმათგან და-
მოუკიდებელი გარემოებანი, რომელნიც
აბრკოლებენ ხსენებულ გაზეთების
ღრობზე და რიგადად გამოცემას.

არტაანილაშ ართინაშლინ

მგზავრის შენიშვნები
(მაგრებულება)

ნიშნულნი მეტი მომივიდა. ჯერ რაც
დამეწერა, არ ჩამებარებინა ფოტოში
გასაგზავნათ, საქმის და გარემოების ჩარ-
ხი ისე დასტრიალდა, რომ ჩემმა მერან-
მა ართინისკენ მიმავრენა.

მე და ერთი ჩემი ამხანაგი ერთს მშვე-
ნიერს დილას გამოვემხილეთ არდ-
ნუჯს. სასიამოვნო ამინდი იდგა. პირ-
ველი სხივი მზისა გზაზე მოგვეგება. ამინ-
დი, ბუნება, მზის სიმშვენიერება, სი-
რალიე კარგი; მაგრამ მაინც ყოველ-
ფერს ამხინჯებს შემოდგომა, როგორც
ლაშას და მორთულს ქალქს დიდი და
დიდი ცხვირი...

არტაანის გზა რჩება სულ აღმოსაფ-
ლეთის მხარეს. ართინის გზა იწყობა
აღმოსაღეთ-ჩრდილოეთისა არდნუჯ-
ჩაის ლელიდამ სადაც კლდედამ-კლდეზე
ქვითკირის ხილია. ამ ხილს აქაურები
„შე ერთ ან-მობრი“ — უძახიან.

შეითან-მობრი თქმა არის ეშმაკის
ხილი. მზა აღის ერთს სერზე და შემრე
იკარგება მთებში. სერზე, რომ აველით
წინ წარმოგვიდგა საამო სურათი: მარ-
ჯენივ მაღალ კლდეზე გადმოსცქერის
ძველი ციხე, ძირს კი ვალაქი მალარები
და ეკკლესია; ორი ღრმა კლდის გაჩე-
ხალში მჩქეფრად მირბის არდნუჯ-ჩაი;
კლდე მაღალი კლდე და შარა გზა. მარ-
ჯენიდ გზიდან იწყობა მაღალი გორაკი,
რომელზედაც თათრებს ჰქონიათ სიმაგ-
რე. აქ „მარა-მირმა“-იესელიანმა გამო-
იჩინა თავი თავისი ოსებით; ცოტა შორს
სჩანან სოფლები. მა ც ა ლ ა ხ ე ვ ი ბ რ-
ც ა და ბ ი ჭ ა თავის ლამაზი ბაღებით,
უფრო შორს მაღალი და თოვლიანი
მთები.

ბავიარეთ, წინ გაგვიჩინებენ ათას გვა-
რი ამობურთული სხვა-და-სხვა ჰანგზე
ამაყი მთები. ამ მთებს რალაც სასტიკი
შეხედულება აქვთ. მეგონება მგზავრს-
ამას ეუბნებიან: ეგ მარტინის და სწი-
დერის თოფები გაქვთ და იმიტომ უში-
შრად ჰმადობთ ჩვენთან მოსვლას.

— ჰო, აბა კაცი ხართ მარტო მობ-
ძანდეთ! მაშინ ნახეთ რამთონი აჭარე-
ლი ავაზაკებით დაგვეხედებით!...

ქარგ მანძილზე ეს მთები ტყეს მო-
კლებული არიან. ზოგან (კარიელია და
ტიტველა მაღალი კლდეები ნაცრის ფერ
კაბიან ქვივ დედაკაცს სახეს აძლევენ.
ალაგ-ალაგას კი არის ტყე, მაგრამ ისიც
არა ხშირი. მივადეკით დღმართს, სადაც
იწყობა გ ტკეპნილი გზა ამ გზის კეთე-
აის თათრებს ძრიელ ხალისით დაუწყ-
ბსათ, მაგრამ ალღანმა არ იწება და-
მრულებს — ომმა დააბრკოლა დაჯორის
ვოგებულო ცხენს ერგო...

ამ ადგილიდამ იწყობა კარგი გზა.

ძაცს მაინც აქ შეუძლიან უშიშრად სი-
არული, ამ გზით მოსიარულე კაცს ავა-
ზაკები თუ არ დაუხედნენ, მაინც კი-
სერს არ მოიტყეს. მზაზე დაგვეხედნენ
არზინგანლი ქურთები; მარილი მოჰქონ-
დათ ხარებით ართინში. მიაქვთ მარი-
ლი, პური და ჰსცვლიან ხმელ ხილზე.
ძურთებისათვის ხარები შეადგენენ ცხენს,
ვირს და ურემს. ამებში კაცი ურემის
მონატრული გახდება.

მიველით ახის ზის ხილთან, რომე-
ლიც გადადებულია არდნუჯ-ჩაიზე, ხი-
ლი წარმოადგენს ცისარტყელას. სიგანე
აქვს ერთი საჟენი სიმსხვილე ორი მტკა-
ველი. ამ ხილის გამკეთებელს სულაც
ფიქრში არა ჰქონია, რომ ქვეყანაზე არ-
სობს გორგორიანი ურემი. შეხით და
ცხენით შეიძლება უშიშრად გავლა:
ქვითკირი ძრიელ მაგრად არის შედუ-
ლული. მს ხილი ძველი უნდა იყოს. ახ-
ლა ორ ნაბიჯზე რომ ხილი დასდგან,
სამი ბურჯი უნდა ჩადგან, თუ არა ვერ
დამაგრებენ. ამ ხილთან დგას ოსების
ფოსტი. სატირელი სადგომი აქვთ აქ
ოსებს: ოთხ მინგრეულ-მონგრეულ კე-
დლებზე დაუხურიათ ყავარი, ისიც სა-
ცერივით ყოველგან ღია. წვიმიან დღეს
თუ კაცი გარეთ არ გამოვიდა, ვერ გა-
დარჩება კოკასავით ჩამოსულ წვიმის
წყალს. ტყე-შეშა, წყალი, მიწა, სოფე-
ლი და ყოველი საშვალე ცხვირს წინა
აქვთ; თორმეტი კაცი არიან და ერთი
პატარა ქოხი ვერ გაუკეთებიათ თავიან-
თისა, აბა რა უნდა სთხოვოს კაცმა
ამისთანა ხალხისაგანა!?

ნუ თუ მარტო, ესენი ხმაღ-ხანჯლისა-
თვის არიან გაჩენილინი.

სანამ მგზავრი მოვიდოდეს ახისზის
ხილთან, იმის მხედველობას მიზიდავს
პატარა ციხე მაგარ კლდეზე. ცოტა ამ
ციხის ზეით ძვეს სოფელი ახისი დი
მ ა ზ ი - ხ ე ვ ი. ციხის ძირში არის მრ-
ვალი მალარები. სოფლებიდან სულ
ცალკე პატარა გორაკზე დგას დაობლე-
ბული პატარა ეკკლესია, ეტყობა ამ ეკ-
კლესიას აქვს რაიმე მნიშვნელება, რომ
თათრებს შემოეუღობიათ კლის ღობით
და არ დაუხგრევიათ, თორემ არა მგო-
ნია, რომ ესეც გადაჩენილიყო ისეთ
ხელისაგან,

ამ სოფლებს ლამაზი მდებარეობა
აქვთ. ქველა სოფელი მორთულია ბა-
ღებით და სამხრეთით აქვთ მფარველად
თვალ-აუწვდელი ფრიალა კლდეები.
ახისზის-ხილის ქვეით ერთდება არდნუჯ-
ჩაის შ ა ვ შ ე თ ი ს მ დ ი ნ ა რ ე; ამ
მდინარეზე არის ახალი ხილი ოთხ ბურ-
ჯიანი. ჯარ არ არის ეს ხილი დასრუ-
ლებული. ხილს ჰქვიათ მირხევის-ხილი,
როგორც მიაშობა ჩემმა თანამგზავრმა,
ამ შავშეთის მდინარის ხევი აქედამ
ხუთ ვერსტზე ყოფილა დიდი თლილი
ქვის ეკკლესიები მხატვრებს აქ უპოვიათ
რალაც ნაწერი და ის ქვა წარუდგენი
ათ ქალაქში ვილასთანაც. ხილის ვაღმა
ორას საჟენზე დგას დიდი აბანო. იმ ად-
გილას სოფელი ყოფილა. ახლა წყალი
არსად არა სჩანს. მე მგონია აქ უნდა
ყოფილიყო საჯამთელო წყალი. სოფელ-

ში უბრალოდ ქვითკირის აბანოს არა გა-
აკეთებდნენ. აქედამ გზა ვხევევა მონს
ფერლობას.

არდნუჯ-ჩაი დარჩა ძირსა და ცის
ფერი ზოლისავით ეხევევა მთას; ძირს
ჩაღრმავებული უფსკრული და მაღლა
ცა, ისე აჩვენებს, გვეგონება მართლა კა-
ცი ჰაერში ჰცურავსო.

ახისზის ხილთან გამოვიცვალეთ ცხე-
ნები და ახალი ღობით ოსური მერანე-
ნი ორბსავით გვაქანებდნენ.

შვალე კარგად გადავლილი იყო,
მიველით სოფ. ლ ო ლ ი ს - ხ ა ნ ა შ ი. ლ ო -
ლის-ხანა დგას მაღალ ქედზე. ასეა ამ
სოფელში გაუქირდება კაცსა. სოფელში
სჩანს ლამაზი დიდი ეკკლესია. მს ეკკლე-
სიაც არ არის დახგრეული, გუშაგითი
სულ ახალია. შიგ რა მდგომარეობაშია,
არ ვიცი. ჯერ რაც მინახავა ამებში
ძველი ეკკლესიები, ამ გვარ მოზდილს
და ახალს არ შევხედრივარ. არდნუ-
ჯიდან გამოქცეული თათრის ჯარები
შოსულან და აქ გამაგრებულან. მს სო-
ფელი ჩვენმა ჯარებმა იერიშით აიღეს.

ბაღმა გამოჩნდა სამი პატარა სოფე-
ლი. ამ ადგილას ჰქვიათ პ ტ ა ლ ა ხ ა.
მარტო აქ ნახავთ პატარა ვაკე მინ-
დგრებს, რომელიც გაღუქცევიათ ყანე-
ბათ.

ართინის, და არდნუჯის მახრებში სახ-
ნავ-სათესი ადგილები ძალიან იშვიათი
სახანავია. აქაურები არ მისდვენ
მეურნობას, რადგან, როგორც მოვახ-
სენეთ, ადგილი არ არის.

მართალია, ადგილი იმისთანაა, რამ
სახანავ-სათესად არ გამოდგება, მაგრამ
სხვა მხრით ნაყოფიერია: მოდის ყველა
გვარი ხეხილი; ყურძენი, ატამი, ქერამი,
ვაშლი, მსხალი, თუთა, წაბლი, ხურმა,
ბროწეული და ბოსტნეული: ნესვი, კიტ-
რი, საზამთრო და სხვა. არდნუჯ-ჩაის
და შორხის ხეხები საგადა ნუშის ხე-
ებით. აქაურები ძალიან თავს არ იხეთ-
ქენ, რომ მიწა გააუკეთესონ და მომე-
ტებული ნაყოფი მაიღონ; ისინი ემორ-
ჩილებიან ბუნებას; ბუნება რასაც აძლევს,
მით კმაყოფილნი არიან. ბალ-ბოსტნე-
ბიდან იმდენი მოსდისთ, რომ ზოგს თვი-
თონ ინახვენ, ზოგსაც სცვლიან პურზე,
ერბო-ყველზე და სხვა საჭირო საგნებზე
არტაანში, ჩაღდირში, ახალქალაქში
და ახალციხეში.

ღანარჩენ ღროს ისინი ლოცვაში და
პირდაღებულ სიარულში ატარებდნენ...

ს. ბავრელი
არდნუჯი, 10 დეკემბერი.
(დასასრულო შემდეგ № 28-ში)